№ 208 ოქტომბერი 1, სამშაბათი 1891 ოქტომბერი 1, სამშაბათი № 208

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 3 ოქტომბერს

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით უცხადებს ტრაქტირებისა, სანოვაგის დუქნებისა და ბაკების პატრონებს, რომ იგინი ვალდებულნი არიან ტრაქტირების დებულების მე 17 პარაგრაფის ძალით ოქტომბრის განმავლობაში აიღონ ტრაქტირისა, დუქნისა ან ბაკის 1892 წელს გაღების ნების მოწმობანი გამგეობიდგან. წინააღმდეგს შემთხვევაში თუ ამ გვარი რამ აქვს წლეულს, მერმის ნება აღარ ექნება, იქონიოს. პირველ ნოემბერს შემდეგ მოწმობებს აღარ მისცემს ქალაქის გამგეობა და მოწმობებისა არ ამღებთ იმავე დებულების მე 18 პარაგრაფის ძალით მომავალს წლის პირველ იანვრიდგან ტრაქტირი, სანოვაგის დუქანი ან ბაკი დაეკეტებათ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის კანცელარიაში ხელის მოწერაა გამართული და იღებენ შეწირულებას განსაახლებლად მველის ტაძრისა გორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან ნაშუდღევის 2 საათამდე. (5—2)

## ალ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) შესახებ

წერილი რედაქციის მიმართ

საკვირველს ხასიათს იჩენს ჩვენი საზოგადოება: მინამ არ მოკვდება ჩვენი საზოგადო მოღვაწე, ჩვენის ლიტერატურის ასპარეზზედ მშრომელი, მინამ, რაც უნდა დღე ადგეს, რაც უნდა გაჭირვებაში იყოს, კაცი არა ჰყავს ყურის მგდებელი, გულის შემატკივარი. როდესაც საცოდავ იოსებ დავითაშვილივით სადმე ჯურღმულოში სიმშილი სულს ამოართმევს, მაშინ დავდგებით მათს საფლავზედ და მოვთქვამთ მწარედ და ვქვითინებთ, და თვით იგინივე, ვინც უკანასკნელი ლუკმა გამოაცალა პირიდამ, სწირავენ ფულს ძეგლის ასაგებად.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასახელო, ჩვენი უნიჭიერესი ბელეტრისტი, ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) იმყოფება დღეს საავადმყოფოში, ჩავარდნილი თითქმის სრულს უგონობაში. კაცმა, რომელმაც ამოდენა ამაგი და ღვაწლი დასდო ქართულს მწერლობას, რომელმაც საოცარი მხატვრობით, ჩვენში უმაგალითო დაკვირვებით, შემჩნევით და გამოკვლევით დაგვანახვა ჩვენი ხალხის გული, ჩვეულება, ადათი, კანონი, წესი, აქამდის ხელშეუხებელი და სრულიად ჩვენგნით შეუნიშნავი სოციალური წყობილებანი; რომელმანც დიდებული მხატვრობანი შეამკო დიდებულის მაღალის აზრებით და შემოსა დიდებულისავე იდეებით,—დღეს ეს კაცი არის დარჩენილი მარტო იმ ულუფის ამარა, რომელიც ეძლევა საავადმყოფოდგან. არც მნახველი, არც გროშის მიმწოდებელი, რომ თამბაქო მაინც იყიდოს, რომელიც მარტო-ღა დარჩენია გასართობად და თავისი ჩამქრალის სიცოცხლის მოსანელებად, რომ დაჩვეულმა კაცმა, ჩაი მაინც დალიოს, — საავადმყოფოს მოხელეთა თქმით, ამას არა ჰყავს...

ნუ თუ აქამდისაც მივედით!

და ვინ იცის, რამდენსა აქვს რჩეული დამზადებული, რომ წარმოსთქვას სასხლოვანის მწერლის საფლავზედ, რამდენი ამზადებს დაფნის გვირგვინს!.. ერთის დაფნის გვირგვინის ჩაი შაქარი და თამბაქო სრულიად ეყოფოდა ამას თავის მოსწრაფებულის სიკვდილის დღემდის.

ანტ. ფურცელაძე

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ- მართებელს ტფილისში ამ კვირია მოელიან.

*** ტფილისში ხმა ისმის, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადი 12 ამა ოქტომბერს ჩამობრძანდება ტფილისში პეტერბურგიდგანაო.

*** შაბათს, ამ თთვის 28, ტფილისში ჩამოვიდა ბ-ნი ფინანსის მინისტრის ამხანაგი ტაინი სოვეტნიკი ფ. გ—ძე ტერნერი და დაათვალიერა სააქციზო მმართველობა და კონტროლის პალატა.

*** დღეს, ამ თთვის პირველს, ტფილისსა და ხაშურს შუა საქონლის მატარებლები არ ივლის, რადგანაც ტფილისსა და მცხეთას შუა საფოსტო და სახალხო მატარებლების გარდა თორმეტი საგანგებო მატარებლები წავა-წამოვა—საათში ერთხელ ტფილისიდამ მცხეთაში წავა და აგრეთვე მცხეთიდამ საათში ერთხელვე ტფილისში.

*** მისი უმაღლესობა პრინც ლუი ნაპოლეონი კავკავიდამ გუშინ ტფილისში დაბრუნდა.

*** დღეს მოგვივიდა მე-15 №-რი „საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბეს“, რომელშიაც, ოფიციალურს ნაწილს გარდა, სხვათა შორის შემდეგი წერილებია მოთავსებული: სიტყვა თქმული მღვდელ-მონაზონ ლეონიდის მიერ იმის გამო, რომ კავკასიის მართლ - მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება მიიღო თვისს მფარველობასა ქვეშე ხელმწიფე იმპერატრიცამ; ისტორიული მიმოხილვა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლისა 1879—1889 წწ. ა. ალბოვისა; ანტონი I, კათალიკოზი საქართველოსი და მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირისა და იარაპოლკისა თ. ჟორდანიასი.

*** 28 ამ ენკენისთვეს სადგურ ალსტაფიდგან წასული საქონლის მატარებელი № 21 გაუჩერდა მემაშინეს სადგურს ალსტაფასა და ტატლის შუა, რადგან 24 დატვირთული და 37 ცალიერი ვაგონი ერთად ვერ აიტანა აღმართზე. ამიტომ ორად გაყო და ნახევარი ერთხელ წაიღო და ნახევარი მეორედ. ამის მიზეზით დაიგვიანა ბაქოდგან მომავალმა სახალხო მატარებელმა № 2.; ერთი საათი გაჩერებული იყო სადგურს ტატლუში და უცდიდა გზის გაწმენდას.

აგრეთვე ტფილისიდგან მიმომავალი სახალხო მატარებელი № 1 სადგურს ალსტაფაში იყო გაჩერებული, ასე რომ ერთის საათითა და 10 წუთით დაგვიანებული წავიდა ბაქოსაკენ.

*** ამა ენკენისთვის 25—26—27 დაიტვირთა 45 მეტი საქონლის ვაგონი ჭინახულით და გაიგზავნა ბაქოსა და ბათუმისაკენ, ხოლო იქიდგან ზღვით გაიგზავნება იმ გუბერნიებში, სადაც წრეულს პური არ მოსულიათ და ხალხი დამშეულა.

*** წარსულს კვირას დიდუბის მინდორზედ გამართული იყო დოღი. ჯერ ყაზახებმა გააჭენეს ცხენები. შემდეგ მეორე დოღის ცხენებისათვის პირველ ჯილდოდ დანიშნული იყო 450 მან. სახელმწიფო ცხენის მოსაშენებელ ქარხნისა: პირველის ცხენისათვის 275 მან. და მეორისათვის 125 მან. ხუთი ვერსი მანძილი უნდა გაერბინათ. პირველი ჯილდო მოიგო თ. აიდემიროვის ცხენმა „მართამ“, რომელზედაც აბაქის იუნუსოვი იჯდა. და ეს მანძილი 8 წუთსა 44 წამს გაირბინა, მეორე ჯილდო მოიგო თ. ტუგანოვის ცხენმა „ეველინამ“.

## ფელეტონი

### ქვეყნიეროგის მოშორებით

კომედია ოთხ მოქმედებად

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 206)

მეოთხე მოქმედება

(სცენა პირველის მოქმედებისა)

I გამოსვლა

ვარო და ლადო—პირველი წიგნსა კითხულობს, მეორე—გაზეთს

ვარო. ლადო!—ლადო!—ლადო! ქვეყანა დავიწყებია. (ისევ კითხულობს).

ლადო. რა გინდა?—ვარო!—ვარო!—არ გესმის,—რა გინდა-მეთქი? (მიაგდებს წიგნს გამოსტაცებს) რატო პასუხს არ იძლევი?

ვარო. ჯერ ერთი აქ მიბოძე წიგნი: ხელიდამ გამოტაცებას ჩვენში უზდელობას ეძახიან, მეორეც ისა, რო ჩვენებური ზდილობა მაითხოვს, —როცა იძახიან, პასუხი მისცენ.

ლადო. ევროპიული განათლება კიდევ უარ-ჰყოფს შურისძიებას, რომელიც თქვენ მთებში ჯერ კიდევ დიდ ხანს იცოცხლებს, რომელიც თქვენ ზნეობრივ პრინციპს შეადგენს.

ვარო. წადი, მაგისთანები მაშოს ელაპარაკე,—ჩემ ჭკვისათვინ მიუწდომელია.

ლადო. კიდე მაშო,—აბა ერთი რა დაგიშავა?

ვარო. ოოო, გეწყინა,—შენი საპატარძლო ამაოდ მოიხსენეს!

ლადო. საპატარძლოა თუ არა, სულ ერთია, საქმე იმაშია, რომ დაცინვა ცუდი ჩვეულებაა ადამიანისა.

ვარო. გეტყობა, მართლა შენი საპატარძლო ყოფილა.

ლადო. გასაკვირველი რა არი, რო იყოს კიდეცა?

ვარო. სრულებითაც არაფერი. მხოლოდ ერთი ეს მითხარ: იმისი თავი უფრო მოგწონს, თუ ფეხი?

ლადო. ერთიცა და მეორეც. თავი, როგორც რეზერვუარი ულრმესი აზრებისა, ფეხი კიდევ, როგორც ყოვლად განვითარებული ქანდაკება.

ვარო. მთლად რაღაა?

ლადო. ხორც შესხმული ოცნების ნაწარმოები.

ვარო. ოცნებით ღატაკ და სიცრუით მდიდარ სტუდენტის ნაწარმოებია.

ლადო. ხუმრობა გაშვებით, მაშო ყოველ მხრივ მშვენიერი ქალია.

ვარო. მშვენიერია, თუნდ წინადან გიყურებია, თუნდ უკანიდამ.

ლადო. უმჯობესი იქნება, გონია, დავჩუმდე, თორე მეც მამხვდება.

ვარო. უნდა გკითხო რამე, თუ შაგიძლიან, სიმართლე თქვი.

ლადო. კარგია, თქვენმა მზემ,— თუ შაგიძლიანო? მერე რო მამკლა კიდევაც, სიცრუის თქმას ვიკადრებ?

ვარო. მართლა?!

ლადო. მკითხე რაღა!

ვარო. რაც საჭირო იყო, გავიგე. აქ მიბოძე ჩემი წიგნი, შენი გაზეთი აგე სტოლზე დევს.

ლადო. უკაცრაოთ, ინებე.—ჰო, მართლა, წამო, წავიდეთ ბედენაანთას, სიმღერის გუნებაზე ვარ.

ვარო. მიბძანდი, დიდი ხანია გელიან. მე-კი ვერ წამოვალ.—მე შინაც ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი.

ლადო. მაშ არ წამოხვალ? მე მივდივარ; თუ ვინმე ავადმყოფი იყოს, ბიჭი გამოგზავნე. (მიდის).

ვარო. წადი, კაი დროს მიხვალ; ეხლა უთუოდ კარსეთს იცოდს; თუ ვინმემ არ მოუჭირა, თითონ არ შაუძლიან; იქნება იმ დროს გულიც შეუღონდეს,—სპირტი არ დაგავიწყდეს.

ლადო. (მობრუნდება) ვარო, იცოდე ძალიანა მწყინს შენი სიტყვები, გთხოვთ, არას დროს აღარ გაიმეორო.

ვარო. ძალიანაც ნუ მიბრიალებ თვალებსა,—გული გამისქდა; ბალღი ხარ, ჭკვას გასწავლიან და გწყინს კიდეცა?

ლადო. (გადიხარხარებს) აი ეს მამწონს!—მასწავლე რაღა ჭკვა: აბა რა ვიცი, რა გამეგება,—ინსტიტუტი გუშინ დამისრულებია.

ვარო. შენა ხუმბრობ, რასაკვირველია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ინსტიტუტკაზე უარესი ხარ.

ლადო. მაგალითად?

ვარო. მაგალითი ბევრია, მეტადრე როცა შენ და მაშო ერთათა ხართ.

ლადო. ურიგოა, ორი ბავშვი ერთათ?

ვარო. მაშო—ბავშვი!

ლადო. ნამდვილი უმანკო ანგელოზია.

ვარო. შენისთანა პირ-დაღებულს თუ მაატყუებენ, თორე სხვას არავის.

ლადო. ვერა ხარ გულ-მართალი.

ვარო. მცხვენიან შენ მაგივრათა, თორე ხმას ამოვიღებდი? მცხვენიან, რო ჭკვიანი განათლებული კაცი ესე ადვილათ იმცირებ თავსა, მერე ვის წინ? ნუ-კი გეგონება, რო მაშო მეჯავრებოდეს, ან იმისი რამე მშურდეს?—ყველანი ერთნაირები არიან, ყველას თავისი შესაფერი ხვდება,— შენ-კი სიყვარულისაგან თვალები გაქვს დაბრმავებული.

ლადო. შეიძლება; მხოლოთ შენ ის გარემოება გავიწყდება, რო, კაცს რო ქალი შაუყვარდება, არას დროს იმის განსჯაში რა შადის, ღირსეულია ქალი თუ არა; რჩევა ხო ამისთანა შემთხვევაში მეტია.

ვარო. კარგათა ვხედამ, მეტია. ერთ რასმეს გეტყვი, რო საკულაოთ იცოდე და მახეში არ გაება, თუ კიდეც დაგვიანებული არ არის.—იქნება შენ გეგონა, რო იმდღამდელი ტუფლის გახსნა შემთხვევით იყო? იცი, რა უთქომს ჩემთვინ, მითომდა ჭკუის სასწავლებლად: თუ გინდა ვაჟკაცი გააგიჟო, ტუფლი გაიხსენი და სთხოვე შაგიკრასო; პოლზე კი ნუ გედგმება ფეხი, სკამზე შადგიო; რაც უფრო მაღალი სკამი იქნება, უმჯობესიაო; თუ ჭკვიანია, მუხლებზე დადგება და ისე შაგიკრამსო, შენ კიდე, მითომ არაფერია, იქით იყურეო.

ლადო. შენი მოვალეობა იყო, ჩაგეგონებინა, რო ამისთანა საქციელი უზნეობაა, — გაკიცხვას-კი რა შნო უნდა?

ვარო. (გაჯავრებული) შენოდენა მილაპარაკნია იმასთან? როცა შაირთამ, მაშინ არიგე.—გამეცალე ნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დოღი. ტფილისის დოღის საზოგადოებისაგან ჯილდოდ დანიშნული იყო 350 მან. და გასარბენ მანძილად—2 ვერსი 133 საჟ. ეს ჯილდო მიიღო თავ. ს. წერეთლის ცხენმა „კაი-გოგომ“, რომელზედაც ნოსალი იჯდა, და ზემოხსენებული მანძილი 2 წუთსა და 50 წამში გაირბინა.

მეოთხე დოღი. სახელმწიფო ცხენის მოსაშენებელ ქარხნისაგან ჯილდოდ დანიშნული იყო 500 მან. (პირველ ცხენისათვის 400 მან., მეორისათვის 100 მან.) და გასარბენ მანძილად—4 ვერსი. ეს ჯილდო აიღო თ. ტუგანოვის ცხენმა „ელბრუს მე-2“, რომელზედაც მირზა-ბეგ დურმენოვი იჯდა, და დანიშნული მანძილი 6 წუთსა და 7 წამში გაირბინა.

მეხუთე დოღი. ჯილდოდ დანიშნული იყო ვერცხლეული, გასარბენ მანძილად—2 ვერსი 100 საჟენი. დოღში ჩაწერილი იყო სამი ცხენი: თ. აილემიროვისა „ნადეჟდა“, თ. ს. წერეთლისა „კაი-ბიჭი“ და თ. ტუგანოვისა „ბანკირი“. ცხენები გამწკრივდნენ და დაიძრნენ. „კაი-ბიჭი“ პირველში ყველას ჩამორჩა უკან, შემდეგ ფეხს აუჩქარა და ყველას გაუსწრო, მაგრამ ამ გასწრების დროს უეცრად გვერდზედ გახტა და წრეს გადასცდა. კარგა ხნის წვალების შემდეგ მხედარმა თ. დადიანმა ისევ შეაგდო და დანარჩენს, წინ-წასულს ცხენებს გამოუყენა, ცხენიც ჩქარა მიდიოდა, მაგრამ ველარ დაეწია. ეს უბედურება რომ არ დამართოდა, უეჭველად „კაი-ბიჭი“ აიღებდა ჯილდოს. ჯილდო დარჩა თ. ტუგანოვის ცხენს „ბანკირს“, რომელზედაც თ. ყარანგოზოვი იჯდა და რომელმაც დანიშნული მანძილი 3 წუთსა და 33 წამს გაირბინა.

დოღი ჯირითით დასრულდა. დოღი დაიწყო ნაშუადღევის 3 საათზედ და დასრულდა 6 საათზედ. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო.

*** კვირას, ამ თთვის 29-ს, სასხლის ქუჩიდამ გაგიჟებული კამეჩი გამოვარდა და მოირბინა რამდენიმე ქუჩა სოლოლაკში. ამაღლების ქუჩაზე ერთს ვიღაცა ბიჭს ერჩოლა და რქებით სამ საჟენზე გადასტყორცნა. კამეჩს დიდი ძალი ხალხი დაედევნა უკან და ვინ იცის, რამდენი უბედურება მოხდებოდა, თუ პოლიციელებს არ მოეკლათ კამეჩი. კამეჩს ჯერ რევოლვერებს ესროდნენ და თორმეტი ტყვია მოარტყეს, მაგრამ კამეჩი ჩასისხლებული მაინც დარბოდა და ხალხს დასდევდა. ამ დროს მოდიოდა ქუჩაზე ერთი ჯარის-კაცი, რომელმაც პოლიციის ბრძანებით „ბერდანის“ თოფი ესროლა და ამ მეცამეტე ტყვიამ-კი კამეჩი ძირს დასცა. კამეჩი ვიღაც სარქისოვისა ყოფილიყო და პოლიციამ მოკლული კამეჩი ქალაქის ბეითალს გაუგზავნა გასაჭრელად და გასასინჯად, ცოფიანი ხომ არ იყო.

*** როგორც შევიტყეთ, პეტერბურგის ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს ეხლანდელი დროებითი რედაქტორი „გაზ. Нов. Обоз-ისა“ ბ-ნი ვ. მ. თუმანიშვილი გაზეთის სამუდამო რედაქტორად დაუმტკიცებია.

*** „Дух. Вѣст.“-ში დაბეჭდილია შენიშვნა ბ-ნ თ. ჟორდანიასი ატენის ძველის ტაძრის შესახებ. გორიდამ 7 ვერსზეა ეს ეკკლესია, აშენებული მე-VII საუკუნეში ზ. და ქ—ს კამპანიის ვიწრო რკინის გზის მახლობლად. ტაძარი დაწვრილებით აუწერიათ არხეოლოგებსა და მოგზაურთ: დიუბუას, ბროსესა და დ. ბაქრაძეს. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად დ. ბაქრაძემ იპოვნა ეკკლესიაში საყურადღებო ძველი წარწერა. გაჯი კედლისა ჩამოცვინულიყო და ძველს ნალესზე ყოფილიყო ეს წარწერა იმ შინაარსისა, რომ 853 წელს, 5 აგვისტოს არაბთა ემირმა ბუღამ აიღო ტფილისი, შეიპყრა მმართველი ქალაქისა, საჰაკა და მოჰკლა 26 აგვისტოს. სამწუხაროდ ეს წარწერა ამ ჟამად აღარსადა სჩანს, რკინის გზის დარაჯის თქმით, აღმოჩნდა, რომ ეკლესიაში შედიან მწყემსნი, ესვრიან ქვებს ნახატებს გასართობად და ამის გამო ცვივა ძირს ნალესი და იკარგება ნახატებიცა და წარწერანიცა. ზემოხსენებული წარწერაც უთუოდ ამ მიზეზით დაიკარგებოდა. უფრო დაზიანებულია ფართო გუმბათი და გუმბათის მახლობელი მხატრობა. ატენის ტაძარი, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანის სახით ჰგავს ჯვარის ეკკლესიას, რომელიც მცხეთის პირდაპირ არის, არაგვის მარცხნივ ამაღლებულს მთის წვერზე და რომელშიაც ბარელიეფებია საქართველოს მმართველთა 600—619 წლისა იმ დროინდელის წარწერებით. ყოველივე ესე მოწმობს, რომ ატენის ტაძარიც დიდად ძველი ტაძარია. ბაქრაძეს აზრით, ატენის ტაძარი აშენებული უნდა იყოს მეშვიდე საუკუნის დამდეგს. საკვირველია, რომ ამ ტაძრის კედლები თითქმის სულ მთელია. გუმბათიც-კი კარგად არის გადარჩენილი, თუმცა ზედ კარგა მოზრდილი ხეებია ამოსული და ხავსით არის გამწვანებული. მხოლოდ აქა-იქ ლომფინები გატეხილა და ეკკლესიაში ალაგ-ალაგ წვეთი ჩადის.

*** 29 სექტემბერს კალოუჩი ბალკაში იპოვნეს ერთი კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს სახელოსნო სასწავლებლის მოწაფემ შუშის მცხოვრებელმა 17 წლის სედრაკ ფირფიტიანცმა უეცრად დანა დაიცა მუცელში. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

ფუძეებიანთ საერო საგანთ ეხება
ჰკვიანად,
რასაცა იტყვის,—მიგნებულს, რიგიანად და ფხიანად,
Ⴍრმაგ სარჩიელთ რკვევაში აზრსა
გამოსთქვამს გზიანად,
ნატვრის მაგიერ შრომასა გვირჩევს
საერთოდ, მთლიანად,
ეძებს რიცხვს, საქმის არსებას,—განგვიფენს განგებიანად,
Ⴊიხთ ამერ-იმერს სვრელებსა ურიგებს სამართლიანად.

---

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

როგორც ვუწყით, წრეულს დიდი უბედურება ეწვია რამდენსამე გუბერნიას რუსეთისას და დიდად დაზარალდა მოუსავლობით. ამიტომ უწმიდესი სინოდი უბრძანებს ყოველს ეკკლესიაში ლიტურგიის შემდეგ, სრულ შეგვიწყალენის დროს განსაკუთრებული ვედრება „ჟამსა საშინელისა სიყმილისა“ სთქვან და საჭირო შემთხვევაში საპარაკლისო გალობა გადაიხადონ ღვთისა ანუ ყოვლადწმიდისა მარიამისა მიმართ და უწმიდესის პატრიარქის კალლისტეს ლოცვა წაიკითხონ. აქავე მოგვყავს ეს ლოცვებიც.

### ვ ე დ რ ე ბ ა

ჟამსა საშინელისა სიყმილისა

სადმრთოსა ლიტურღიასა ზედა, შეგვიწყალენზედ, დიაკონი ჩა-ურთავს ბოლოს შემდგომსა თხოვნასა:

მერმეცა ვევედრნეთ, რათა გარეწარაქციოს ჩვენგან ყოველი რისხვა თვისი, სამართლად ჩვენზედა მოწევნული, და გვიხსნეს ჩვენ ჭირთა და მწუხარებათაგან, სიყმილისაგან, სიკვდიდ-შემოსილისა წყლულებისა და ყოვლისაგან ბოროტისა, და შეგვინდნეს ჩვენ ყოველნი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი და შეგვიწყალნეს ჩვენ ულირსნი მონანი თვისნი, შემუსრვილითა გულითა ვსთქვათ ყოველთა: უფალო, ისმინე და შეგვიწყალენ.

მგალობელთა: უფალო შეგვიწყალენ.

### ლ Ⴍ ც ვ ა

უწმიდესისა პატრიარხისა კალისტესი, სათქმელი შემდეგ პარაკლისის გარდახდისა უფლისა ღვთისადმი, ანუ ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისადმი

უფლისა მიმართ ვილოცოთ

რომელი საკვირველთ-მოქმედი ღმერთი ხარ, და რომელი იქმ დიდთა საკვირველებათა, რომელმან ძველოდესმე ისრაილნი მოსეს მიერ განათავისუფლენ, მწარისა მისგან მონებისა ფარაოსისა, რამეთუ ხელითა შენითა განაგენ ესე ყოველნი უვნებლად, და აცხოვნენ ქვეყანასა მას აღთქმისასა, რომელმან პირველად მფრინველითა მით განაძღენ, და გამოჰზარდენ ურიცხვნი ერნი ხმელსა მას ქვეყანასა უდაბნოსა, და მანანაჲ უწვიმე, ვითარცა წყალი წყაროჲსაგან დაუწყვედელისა, რამეთუ კლდე იგი აღმომაცენებელ წყაროდ წყლისა ჰყავ, და წყლისა მისგან აღმოცენებულისა წყურიელი და დამაშვრალი ყოველი ერი განაძღენ, ეგრეთვე აწ ჩვენ წესისაებრ კაცთ-მოყვარებითა შენითა და სახიერებითა მოგვეც ჩვენ იგი, რომელიცა ჩვენდა ჯერ-არს კმასაყოფელად საზრდელად, და სახმარად ჩვენდა, გვიჩვენენ ჩვენ დიდნი საკვირველებანი შენნი, და გამოგვზარდენ ჩვენ მაძღრივ კურთხევითა მით შენისა სიტკბოებისათა. რამეთუ ყოველივე შენ მიერ შესაძლებელ-არს, და არა რაჲ არს შეუძლებელ წინაშე შენსა არცა ერთი. ჰე უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან გამოჰზარდენ ურიცხვნი ერნი უდაბნოსა მას მცირედითა პურითა, ეგრეთვე აწ ჩვენცა გამოგვზარდენ გამოუთქმელითა მოწყალებითა შენითა და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩვენ ცოდვილთა ᲓᲔ ულირსთა ამათ მონათა შენთასა. რათა ვადიდებდეთ ყოვლად-წმიდასა სახელსა შენსა, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

---

ღარ მელაპარაკები!

ლადო. მაშ მე წავალ მაშოსთან. თუ ვინმე მოვიდეს...

ვარო. წადი, წადი, კარგი, გული ნუ გააწყალე.

ლადო. რა კილოთი მელაპარაკები?

ვარო. აბა ერთი მითხარ, რათა ჰკარგავ ძვირფას დროს სულელთან ლაპარაკში, როცა შაგიძლიან ნეტარებას მეეწიო ულრმესი აზრების მოსმენით და ყოვლად განვითარებული ქანდაკების ხილვით.

ლადო. (გადისარსარებს) შენი ირონია მამწონს... (ასლო დაუჯდება).

ვარო. რა დროს ხუმრობაა,—გელიან.

ლადო. აღარ მივდივარ,—შინაც მხიარულათ შემიძლიან გავატარო დრო.

ვარო. რასაკვირველია,—ხუთი ბაყაყი გაქვს გასაჭრელი ბანკაში; მაგრამ მაინც ყოვლად განვითარებული ქანდაკება სჯობია; ინანებ,—გირჩევნია წახვიდე.

ლადო. (გაიცინებს) დღეის იქით მე შინაც ბევრი საქმე მექნება, ასე რო იშვიათათ თუ გავალ კარში.

ვარო. როგორ? შენი საპატარძლო?

ლადო. ეგ მე ვიცი.

ვარო. ჰო, დამავიწყდა, რო ცოლქმარი ერთათა ცხოვრობენ.

ლადო. მეორეთ აღარ დაივიწყო.

II გამოსვლა

იგინივე და სტეფანე

სტეფ. ლადო, შენთან საქმე მაქვს; ეს რამდენიმე დღეა მინდა ცოტა რამ გითხრა, მაგრამ სუ დროს ვერა ვპოულობდი. განსაკუთრებით შენთანა მაქვს სათქმელი. (კარო ადგება წასასვლელად).

ლადო. განა ისეთი საიდუმლოა?

სტეფ. დარჩი, ვარო, ოჯახის შვილი ხარ, შენთან დასამალი რა უნდა გვქონდეს!—აბა, შვილო, რა მეტი ლაპარაკია საჭირო, შენ კარგათ იცი, რო ბედნიერების მეტი შენთვინ არაფერი მენატრება; თუ არ მეგეწონოს, ნურც საწყინოთ მიიღებ, იმიტო რო შენი წყენა არ მინდა; ჩემთვინ, შვილო, სულ ერთია, რა ჰკვაზედაც გინდა მაიქცე, ოღონდ-კი კარგათ იყავი და სიხარულით სამსე გული გქონდეს. ხო იცი, ძველებური კაცი ვარ, დროების კვალობაზე ბევრში ვარ ჩამორჩომილი, ამიტომ ნუ გაწყრები, თუ საწყინოთ გეჩვენოს. აი, შვილო, რა: ელისაბედი თავის მაშოს გაძლევს, თან ატანს მთელ თავის ქონებას, რაც-კი რამ აბადია; თურმე ქალს გაგიჟებით უყვარხარ, იძახის, თუ უშენოთ ვერ გაუძლია; არ დაგიმალავ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება თქვენი დაკავშირება; ეხლანდელ დროში უფულო ადამიანი გროშათაც არა ღირს,—თქვენ-კი, ღვთის წყალობით, კეთილ-ცხოვრებას მოკლებული არ იქნებით: ათასი თუმანი შამოსავალი კარგათ გეყოფათ.—ესე, შვილო; თუ არ მოგეწონოს, მაინც ნუ იწყენ; მაიფიქრე კარგათ, დრო შენ ხელთ არი.

ლადო. საქმე იმაშია, მამაჩემო, რო ესე ადვილათ საქმის გადაწყვეტა არ შაიძლება; ჩვენ ერთმანეთს კარგათ არ ვიცნობთ, დაახლოვებულები არა ვართ... რა პასუხი უნდა მოგცე?

სტეფ. ჰო, შვილო, გაიცან, გაიცან; ხან ის მოვა, ხან შენ წახვალ,—არავინ დაგიშლის იმასთან დრო გაატარო; დეელაპარაკები, გეტყვის, ეტყვი; საშური საქმე როდია, დრო შენ ხელთ არი; მოგეწონება და ამაზე უკეთესი რაღა იქნება.

ვარო. ბალღი ხო არ არი, არ მეეწონოს: ლამაზი ქალის სიყვარული და წელიწადში ათასი თუმანი, განა ადვილი საშოვნელია ახლანდელ დროში? კარგათ მაიფიქრე, ლადო, მთელი სიცოცხლის საქმეა.

სტეფ. ჰკვიანი ხარ, შვილო, კარგათ გესმის ქვეყნიერობის ამბავი.

ლადო. ვიცი, ჩემო ვარო, რა ბედიც მიჭირამ ხელში; მადლობელი ვარ შენი გული-კეთილობისათვინ.

ვარო. არასფერსა; რაც უფრო ჩქარა მომხდება, უმჯობესია, რადგანაც, ვინ იცის, ქალი სხვა-დასხვა დროს რა გუნებაზე იქნება. ამობდა, აფიცერი ყველასა სჯობიაო; ეხლა, რასაკვირველია, შენ მთელ ქვეყანას ურჩევნიხარ; მერე რო უცებ გაჩნდეს ვინმე აფიცერი, რომელიც დააფეთებს ქალსა,—მაშინ ხო დაიღუპა შენი დიდი ხნის ილლიუზიები?

სტეფ. ჰკვიანი ხარ, ვარო; გაუგონე, შვილო, ვინ იცის მართლა,—იქნება ქალი ყოველთვინ ერთ გუნებაზე? კარგათ მაიფიქრე.

ვარო. ნუ გეშინიან, ნათლიავ, ლადოს დიდი ხანია მოფიქრებული აქვს.

ლადო. მხოლოთ, მამაჩემო, ცოტა მოფიქრება კიდე დამჭირდება.

სტეფ. იფიქრე, შვილო, იფიქრე. (გადის).

III გამოსვლა

ვარო და ლადო

ვარო. ამისთანა ბედნიერი ოლბალი არ გაგონილა: ლამაზი ქალი თავის სიყვარულით და სიმდიდრით!

ლადო. იღბალი თქვი-და!

ვარო. ერთი მითხარ, აქ რაღაა საფიქრებელი?

ლადო. არაფერი, სრულებით არაფერი; შენი არ იყოს, დიდხან მოცდა არ ვარგა.

ვარო. რასაკვირველია, თორე შაიძლება, ხელიდამ წაგივიდეს.

ლადო. უნდა დავაშურო.

ვარო. რა ბედნიერი იქნები! ლამაზი ცოლი, სამსე ჯიბე—სხვა რაღა გინდა? საკუთარ ეკიპაჟში რო ჩაჯდებით, გონია მთელი ქალაქი თქვენ გიყურებდეს და დაგნატროდეს.

ლადო. შენმა მზემ, რო კარგია; როცა გინდოდეს, შეგიძლიან გაისეირნო ხოლმე ჩვენ კალასკაში.

ვარო. დიდად გმადლობ, მაგრამ ასეთ ყურადღებას თავის დღეშიაც დაჩვეული არა ვარ.—ვინ იცის, იქნება ერთმანეთს აღარც-კი ვიცნობდეთ; შენმა ცოლმა რო იჭვნეულობა დაიწყოს, სხვა ქალს ეზოში-კი შამოუშვებს?

ლადო. სხვები სხვა არი, შენ სხვა ხარ: ჩვენ და-ძმასავით ვართ შეზრდილები...

ვარო. სრულებითაც არა... არც შენი ძმობა მინდა, არც ნაცნობობა!

ლადო. გონია, გაწყენე—მამიტევე.

(დასასრული იქნება)

## უწ. სინოდის განკარგულება

**3—23 აგვისტოსი 1891 წლისა № 2080 იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებლებში მიღებულ იქმნენ ყმაწვილები, რომელთა წლოვანება სასულიერო სასწავლებლების წესდების მე-73 და 74 §§-ის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.**

**მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის** უწყებისამებრ, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა ბ-ნ სინოდის ობერ პროკურორის თანამდებობის აღმასრულებლის მიერ წარსულ ივლისის 31-სა რიცხვსა მე-541 №-რით წარმოდგენილი ჟურნალი სამოსწავლო კომიტეტისა, მე-261 №-რი, კომიტეტის აზრის დასკვნითურთ დონის ეპარქიის მთავრის იმ თხოვნის შესახებ, რომ ნოვოჩერკასკის სასულიერო სასწავლებელს უფლება მიანიჭეთ ნება დართოს ჩემს შვილს, ხანით $12^1/_2$ წელს გარდაცილებულს, ამა 1891—92 სამოსწავლო წელს, ზემოხსენებულ სასწავლებლის პირველს კლასში შესასვლელ ეგზამენის დაჭერისაო. ჰ ბ რ ძ ა ნ ე ს: განიხილა რა ესე ჟურნალი, უწმიდესმა სინოდმა დაადგინა: რათა მერმისში შემცირდეს მიწერ-მოწერა, იმ შუამდგომელობის გარდაწყვეტა, რომ სასულიერო სასწავლებლებში მიღებულ იქმნენ ისეთი ყმაწვილები, რომელთა წლოვანებაც თუმცა ვერ აკმაყოფილებს სასულიერო სასწავლებლების წესდების მე-73 და 74 §§-ის მოთხოვნილებას, მაგრამ, თუ წარმატებით განვლეს სასწავლებლის კურსი, დასრულებისას არ გადააცილებენ იმ უკანასკნელს ვადას, რომელიც დაწესებულია სასულიერო სემინარიების წესდების მე-114 §-ით ამ სასწავლებლის პირველს კლასში შემსვლელთათვის,—მიენდოს საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოებათ, ისე-კი, რომ ხანიან სოსწავლეებს სასულიერო სასწავლებლების ამა თუ იმ კლასში კურსის განსამეორებლად დარჩენის ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცეთ, თუ ამითი არ დაირღვევა ზემოხსენებული სემინარიის წესდების მე-114 §-ი წლოვანების უკანასკნელ ვადის შესახებ. ესე დადგენილება დაბეჭდილ იქმნა ჟურნალ „საეკლესიო უწყება"-ში საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოესობათა და სასულიერო სასწავლებლების მმართველობათა მიერ საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ. („საქარ. საექს. სასულ. მოამბე").

---

## ქართული თეატრი

ა ლ ი ა ქ ო თ ი   კ ე თ ი ლ - შ ო ბ ი ლ   ო ჯ ა ხ შ ი, კომედია სამ მოქ. გადმოქართ. აბაზაძისაგან.

ა დ ვ ო კ ა ტ თ ა ნ, ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკეთ. ვ. გუნიას მიერ.

გუშინ-წინ, კვირას, 29 სექტემბერს, ქართულს დრამატიულ საზოგადოების დასს წარმოსადგენად დანიშნული ჰქონდა სამ-მოქმედებიანი კომედია აბაზაძისა „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში" და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი", მაგრამ ბ-ნ აბაშიძის ავადმყოფობის გამო ვოდევილი „ადვოკატთან" წარმოადგინეს, პირველს პიესაში-კი აბაშიძის როლი შათირიშვილმა შეასრულა და შათირიშვილისა—კანდელაკმა.

ორივე პიესამ ცოცხლად ჩაიარა, თუმცა ბ-ნ აბაშიძის არ ყოფნა დიდად აფერხებდა პიესას და თამაშობას უხდენდა ქ-ნ საფაროვისას და ავალიშვილისას, მით უმეტეს, რომ ბ-ნი შათირიშვილი მოუმზადებლადა თამაშობდა ექიმ კალინინის როლს. განსაკუთრებით კარგი იყო გუნია გენერალ ანდრონოევსკის როლში და განსაკუთრებით ცუდი იყო ქ-ნი აგიაშვილისა უცნობის ქალის როლში, თუმცა ორად-ორი სიტყვა ჰქონდა სათქმელი—სალაპარაკო და ისიც სულ უბრალო სიტყვა. ნიჭის ნაპერწკალი სწორედ იქ იელვებს ხოლმე, სადაც ლაპარაკით საზოგადოების თვალის ახიბლვა ძნელია და აი კიდეც ამიტომ ქ-ნ აგიაშვილისას ამ ორიოდე სიტყვიან როლში აშკარად შეეტყო, რომ იგი ძნელად თუ ივარგებს ქართულის სცენისათვის და თუ გამოდგება როდისმე, ისიც ათი-თხუთმეტის წლის შემდეგ თუ.

პიესის თარგმანი ალაგ-ალაგ ძალიან ჰკოჭლობს და ზოგან ისეთი სიტყვებიც-კია ხმარებული, რომ თვით არტისტებსაც ეძნელებათ იმისი სცენაზედ განმეორება. საკვირველია მხოლოდ, რატომ რეპეტიციის დროს არ შეასწორეს ეს ყურის სახამუშებელი ადგილები და რაღა სცენაზედ მოუნდათ მისი გასწორება?!

ვოდევილმა „ადვოკატთან" ჩვეულებრივ ცოცხლად ჩაიარა, თუმცა აქაც დაეტყო უაბაშიძეობა. განსაკუთრებით მშვენივრები იყვნენ საფაროვისა და ჩერქეზიშვილისა. ეს ვოდევილი გადმოკეთებულია სამ-მოქმედებიან რუსულ პიესიდგან „ცოლ-ქმრობის ბედნიერება" („Супружеское счастье, соч. Северина), სამი მოქმედება ერთ-მოქმედებად არის ქცეული, მაგრამ ისე ლამაზად-კია გადმოკეთებული, რომ შვილი დედას გაცილებით სჯობია და სიკეთით ერთი მოქმედება უწინდელს სამს სჯობნის.

ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო ამ წარმოდგენას.

მანოელიძე

---

## დაბა ნ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სვანეთი.** ამ ცოტა ხანში სხვათა შორის ერთი უბედურება მოხდა სვანეთში. ეცერის საზოგადოების სოფ. ბარში მცხოვრებელი გლეხი უანსავ გურჩიანი თავისის ცოლით ქვიმშით მოდიოდა სოფ. ბეჩოში, სადაც დაპატიჟებულნი იყვნენ ქვიმშის სამშობლოში დროების გასატარებლად. როდესაც ბეჩოს პირდაპირ პატარა ხიდზე გამოდიოდნენ, ქმარი წინ მიდიოდა და ცოლი უკან მისდევდა რამდენსამე ნაბიჯზე, ასე რომ გურჩიანი თითქმის მოუახლოვდა ხიდის ნაპირს და ქვიმში-კი შიგ შუა ხიდზე იყო, ჩატყდა ხიდი და ორნივე ცოლ-ქმარი წყალში ჩავარდნენ. გურჩიანი უფრო ნაპირთან დაეცა და ნაპირისკენ გამოარიყა და გადარჩა, მაგრამ მისი ახალგაზდა ცოლი-კი წყალმა მოიტაცა და თვალიც ვეღარ მოჰკრა გურჩიანმა. საბრალო გურჩიანმა მთელი ღამე ამ წყლის პირას თავისის საყვარელისა და უდროვოდ მოშორებულის ცოლის ძებნაში გაათენა ტირილითა და მხოლოდ მეორე დღეს დილით, როცა წყალი დაპატარავდა, მხოლოდ მაშინ იპოვნა მთლად დამსხვრეული უსულო სხეული თავისის ცოლისა ერთ ნახევარს ვერსზედ.

როდესაც საცოდავად დამრჩვალის ახალგაზდა ქალის გვამი მახლობელს სოფელს დოლში მიასვენეს, მაშინ იმ სოფლიდან წამოვიდნენ რამდენიმე ქუდ-მოხდილი კაცი და თავ-მოხდილი ქალები, რომელთა რიცხვთა შორის თითონ გურჩიანიც იყო, წინ მოუძღოდათ ორი მოხუცებული თეთრწვერიანი სვანი, ერთს მათგანს ხელში ეჭირა სვანური ჩანგი (საკრავი) და მეორეს წითელი მამალი. როდესაც მივიდნენ იმ ხიდის ყურზე, სადაც ქვიმში ჩავარდა, იქიდან დაიწყო იმ მოხუცებულმა კაცმა ჩანგის დაკვრა და სვანური ლოცვები. უკან მისდევდა მეორე მოხუცებული კაცი წითელის მამლით, ამათ მისდევდნენ ეს ამდენი თავშიშველა ქალი და კაცი, ჩაიარეს რამდენიმე საჟენი წყლის პირზედ, დაბრუნდნენ უკანვე და ხელმეორედ ჩაჰყვნენ ისევ წყლის პირას ჩანგის დაკვრით. რამდენისამე ნაბიჯს შემდეგ მოხუცებული კაცი ერთ დიდ ქვის მახლობლად შეჩერდა და უფრო მოწიწებით და მოფერებით დაიწყო ჩანგის დაკვრა, ხან დაიჩოქებდა და ხან ადგებოდა, ადამიანს ასე ეგონებოდა, რაღასაც ეძებს და უპოვნია იმ დიდს ქვასთან და ეხვეწება და ეპატიჟებაო, ან რაღაცასა სთხოვს ვიღაც უხილავს არსებასაო. ამ დროს სამჯერ ჩასწვდა დაჩოქილი იმ ქვასთან, რაღაც ამოიღო და იმ წითელ მამლის ფთის ქვეშ ამოსდო. გამოართვა მამალი მეორე მოხუცს და კალთაში გაიხვია. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, ისევ უკან დაბრუნდა, იმ ქვასთანვე, დაითხოვა ხალხი და უბრძანა, რომ შორს დამდგარიყვნენ და არ ეხმაურათ. ხალხმა დიდის კრძალვით გაუგონა მოხუცსა და მოშორდა, ამ დროს კიდევ ჩასწვდა მოხუცებული კაცი, კიდევ ხელ-მეორედ ამოსდო ფთის ქვეშ მამალს რაღაცა და ჰყივილი დააწყებინა. ასე მეგონა, მოუჭირა მამალს და იმისთვის დაიწყო ჰყივილი-მეთქი. შემდეგ მოხუცმა ჩანგის დაკვრა და ნელა-ნელა სიარული დაიწყო... შორი-ახლო მისდევდნენ ეს ამოდენა ქალი და კაცი. გზაში, სადაც-კი ერთი გუბე წყალი დახვდა, ყველგან ჯოხები გაადებინა ხიდივით, იქ მივიდა, სადაც გვამი მიცვალებულისა ესვენა, დაიჩოქა და დიდხანს უკრავდა და სვანურად ლაპარაკობდა. როდესაც აქედგანაც გაასვენეს თავის სახლში, ის მიუძღოდა წინ ჩანგის დაკვრით და მამალიც კალთაში ჰყავდა გახვეული. შუა გზაშიაც ერთს ხანს ბევრი ეწვალა, როდესაც ზოგიერთი მიცვალებულის გამცილებელი ბრუნდებოდა უკან, რამდენიმეჯერ ისიც დაბრუნდა და ჩანგს უკრავდა. როდესაც მიცვალებული მიასვენეს სახლში იქ ერთს ხანს კიდევ ილოცა და ჩანგს უკრავდა, შემდეგ სვანური სკამლოგინი მოითხოვა, ბალიშები და გარდაცვალებულის ტანისამოსი დაალაგა, წინ სუფრა დადგა და ზედ არაყი და პურები, ვერცხლის ძველი და ახალი ფული და სხვ. დააწყო.

ყოველივე ეს, როგორც ამიხსნეს, აი რისთვის ყოფილა. სვანებს ძველადგანვე ჩვეულებად ჰქონიათ, რომ ვინც წყალში დაირჩობა და ან სხვა ქვეყანაში მოკვდება, იმისი სული სადაც ამოუვა, იქ სადმე დაიმალება! ასე რომ ჩანგის დაკვრით, ლოცვით და წითელის მამლით უნდა მიიპატიჟონ, თორემ ასი წელიწადიც რომ დარჩეს, მაინც არ მოშორდება მიცვალებულის სული იმ ადგილებს და ტანჯვაში იქნებაო. როდესაც ჩანგს უკრავენ, ვიდრე, საცა სულია დამალული, იქ არ მივა, მანამდე არც ჩანგი და არც მამალი ხმას არ ამოიღებსო. თუ უკან დაბრუნდა სული, მაშინ ჩანგი ხმას არ ამოიღებს და კაცი იმითი გაიგებსო. ხიდების (ჯოხების) გადება იმასა ნიშნავს, რომ სულს წყალში შესვლა არ შეუძლიან და ჯოხზე-კი გაივლისო; სკამი, ლოგინი იმიტომ არის საჭირო, რომ სული დაჯდეს ზედა; სუფრა და საჭმელიც, რასაკვირველია, სულის საზდოა, წლამდის უნდა აუღებელი იყოსო, საჭმელი უნდა გამოეცვალოს ხოლმე.

ამ გვარი ცრუ-მორწმუნეობა სვანეთში ბევრია და აქაური მღვდლები-კი გულხელ-დაკრეფილები შესცქერიან ამ სანახავს, არ აუხსნიან და არ დაარიგებენ გაუნათლებელს სვანებს, რომ მოაშლევინონ ეს ცრუ-მორწმუნეობა...

ნ. გაბარაშკილი

---

## წვრილი ამბავი

— Figaro-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები პარიჟის ერთს წიგნების გამომცემელ საზოგადოების შესახებ. საზოგადოება ჰბეჭდავს წიგნებს და ყოველ ღონის მიებას ხმარობს დაბეჭდილის წიგნის გასასყიდად. როცა გაყიდული წიგნების ფასი ყველა ხარჯს გადასწყვეტს, იმის შემდეგ წმინდა შემოსავალის ერთი ნახევარი წიგნის ავტორს ეძლევა და მეორე—საზოგადოების წევრებს. თუ გინიცობაა საზოგადოების მიერ დაბეჭდილი წიგნი არ გაიყიდა და ხარჯი ვერ გადასწყვიტა, მაშინ თვითონ საზოგადოების წევრნი იხდიან ამ ხარჯსა და, რადგანაც საზოგადოებას ძლიერ ბევრი წევრი ჰყავს, რასაკვირველია, თვითოეულს მცირე გადასახადი შეხვდება ხოლმე. „Figaro" დასძენს, რომ ამ გვარი საქმის წარმოება საზოგადოებისთვის ძლიერ სასარგებლოაო.

— ავსტრალიის პირველ მინისტრს, ჰენრი პარკსს, ლონდონის ერთ გამომცემელისთვის „ავსტრალიის XIX საუკუნის ისტორიის" ერთი ტომი მიუყიდნია 100,000 მანათად.

— ჩიკაგოში ვიღაცა ამერიკელს ცხენებისთვის ელექტრონის მათრახი გამოუგონია.

— მილიონების პატრონები—გლახაკნი. სან-ფრანცისკოში ერთი კაცი მომკვდარა, სახელად გერმან კოტინგერი. კოტინგერის სახლში ერთი მილიონის ოქრო უპოვნიათ ლეიბსა და სახლის კუნჭულებში მიმალული. მკურნალებს შეუმოწმებიათ, რომ კოტინგერი სიმშილისა და თავის მოუვლელობის გამო მომკვდარაო. ქალაქ ტორუში კიდევ ერთი თითქმის ასი წლის მათხოვარა მომკვდარა და იმის სახლში ორი მილიონი ფული უპოვნიათ.

— ქალაქ ლინცაში, დუნაის ნაპირზე ერთი ძველი სახლი დანგრეულა და იმის ნანგრევებში ყალბი ფულის გასაკეთებელი მანქანა აღმოუჩენიათ. ეს სახლი ამ 80 წლის წინეთ პეტერ-დე-ბოარს ეკუთვნოდა თურმე. პეტერ-დე-ბოარი აკვირვებდა გერმანელებს თავისის სიმდიდრით. ვენაში ისეთი მშვენიერი და მდიდრულად მორთული სასახლე ჰქონდა აგებული, რომ ხალხი ათასობით მიდიოდა ამ სასახლის დასათვალიერებლად. ამ შესანიშნავ სიმდიდრის გამო ხალხი დიდს პატივსა სცემდა დე-ბოარს, ვიდრე პოლიციამ არ შეიტყო, რომ ბოარი ყალბი ფულის მომჭრელიაო. ბოარი და იმისი ცოლი, ორივენი ციხეში დაისოვნენ. ეხლა გამოიძიეს, რომ დე-ბოარს რამდენიმე მილიონის ყალბი ფული გაუსაღებია ავსტრიასა და საზღვარ გარედ.

— ახირებული ხალხის გასართობი გამოუგონია ერთს გემის კაპიტანს ნამყოფს ამერიკელს. ამ კაპიტანს რამდენიმე ძველი გემი უყიდნია. ამ გემებში სხამს თურმე მსურველთა, რასაკვირველია ფასით. შემდეგ მიდის ზღვაში და როცა ბრუნდება, კლდეზედ მიაგდებს გემსა და ამ ნაირად ჰლეწავს. ხალხი ზღვაში სცვივა, მაგრამ არავინ-კი არ იხრჩობა, რადგან კაპიტანს ისე აქვს საქმე მოწყობილი, რომ მაშინვე ყველას ამოიყვანენ ხოლმე ზღვიდგან. კაპიტანს მეორე მხრითაც აქვს შემოსავალი, რადგანაც ამ უცნაურის წარმოდგენის საყურებლად მრავალი ხალხი იკრიფება ზღვის ნაპირზედ.

— სალიტერატურო და საარტისტო კონგრესი ნევშტალში სხვა-და-სხვა სახელმწიფოების 40-ის დელეგატის თანადასწრებით მოსხდარა. აღმოჩნდა თურმე, რომ ეს კონგრესი ბერლინში იმიტომ არ შეიკრიბა, რომ ფრანგების და გერმანულ გამგე კომიტეტებს შუა რაღაც უთანხმოება ჩამოვარდნილა.

— რას არ იგონებენ ამერიკელები, რომ ხალხი მიიზიდონ! ერთს ყავახანის პატრონს, ქალაქ სენ-ლუიში შემდეგი აფიშა დაუბეჭდია: „დღეს მომღერალი ქალი ბოტმანი უკანასკნელად მიიღებს მონაწილეობას წარმოდგენაზეო, რადგანაც გადაწყვეტილი აქვს, რომ წარმოდგენის შემდეგ თავი მოიკლასო". წარმოდგენას ძლიერ ბევრი ხალხი მიაწყდა თურმე, ყველას უნდოდა, ეს საბრალო ქალი ენახა. ბოტმანმა-კი ჯიბე გაივსო ფულით და მეორე დღეს სხვა ქალაქში გაემგზავრა. საზოგადოებამ დიდი უკმაყოფილება გამოუცხადა ყავახანის პატრონს. ამანაც მეორე დღესვე შემდეგი თავის გასამართლებელი წერილი დაჰბეჭდა ადგილობრივს გაზეთში: „თუმცა ქ-ნმა ბოტმანმა პირობა მომცა, უეჭველად თავს მოვიკლავო და ამ პირობაზედ ხელწერილიც ჩამოვართვი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ (!) ეს პირობა არ შეასრულაო",

— პარიჟის უკანასკნელს მკურნალთა კრებას ერთმა მკურნალმა, გვარად შარპანტიემ, შემდეგი საკვირველი ამბავი აცნობა: ერთი ახალგაზდა ქალი მშობიარობის დროს ჭკუაზედ შეშლილა. ქალი მალე მორჩენილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ქალს სულ ყველაფერი დავიწყებოდა, რაც კი თავს გადახდენოდა, გათხოვების დღიდგან მშობიარობამდე. ქალი დარწმუნებულია თურმე, რომ ჩემი ქმარი მხოლოდ დანიშნულია ჩემზედ და ჯერ ჯვარი არ დაუწერიაო. შვილზედაც უარს ამბობს თურმე, ჯერ არც გათხოვილვარ და არც შვილი მყოლიაო.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნს ლევან იოსების ძეს გედევანიშვილს, რომელმაც მცხეთის სახალხო წიგნთ საკითხავისთვის გამართა ხელის მოწერა და შეაგროვა 14 მ. 50 კ.

ამასთანავე გიგზავნით შემომწირველთა სიასაც.

ფელიქს ბარანოვსკიმ 2 მ., მისილ მასურაძემ—50 კ. ესტატე აღიბეგოვ-

მა—50 კ. ქიტუაშვილმა—50 კ. გრიგოლ მაჩხანელმა—50 კ. იაკობ გეტაძემ—50 კ., დამბროვსკიმ—50 კ. მელიქ-ადამოვმა—20 კ. იაკობ თათარაშვილმა—20 კ. ნიკოლაი ფეოდოროვმა—1 მ. გიტლინგმა—50 კ. მონოზონმა ილიანამ—1 მ. მონოზონმა მარიამმა—1 მ. მონოზონმა ულუმპიამ—1 მ. მაილაძემ—50 კ. მონოზონმა პარასკევამ—1 მ. გურიენკომ—1 მ. იაკობ მარტოლეკიმ 50 კ. იოსებ ზალხოსტოვმა—1 მ. იორდანე იმერლიშვილმა—10 კ. ივანე თარაშვილმა—50 კ.

მცხეთის სასალხო წიგნთ-საკითხავის გამგებელნი.

ს. მცხეთა

## დეპეშა

28 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „Нов. Вр.“ იუწყება, ჩინეთის მთავრობამ აუწყა ჩვენს გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ყოველი ღონეა ნაღონი უზრუნველ საყოველად რუსეთის ქვეშემრდომთა და მათს სარჩოთა ჩინეთშიო.

გუშინ გარდაიცვალა წევრი სახელმწიფო საბჭოსი ვიცე არმირალი პეშჩუროვი.

29 სექტემბერი

**პარიჟი.** მინისტრმა კონსტანმა სიტყვა წარმოსთქვა ნიმაში და განაცხადა, რესპუბლიკა თანხმაა შეერთოს მონარქიელნი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მათ თავიანთი ერთგულება დაამტკიცონო.

**სტრასბურგი.** დეპუტატმა პეტრიმ მიულოცა რა საოლქო კომისიის სახელით მთავარმართებელს თავისს ადგილზე დაბრუნება, განაცხადა: ელზას-ლოტარინგიელნი მკვიდრად არიან დაკავშირებულნი იმპერიასთან და თავისის ყოფაქცევით გაამართლებენ იმ ნდობას, რომელიც მთავრობამ აღმოუჩინა შემავიწროებელ საპასპორტო კანონების მოსპობით. მთავარმართებელმა უპასუხა, მაგ თქვენს ნათქვამს იმპერატორს მოვახსენებო.

30 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ გაიხსნა პირველი საქალებო კურსები. კურსი ორის წლისაა იღებენ გიმნაზიებსა და ინსტიტუტში კურს დამთავრებულებს.

**ლონდონი.** გუშინ დუბლინში დაასაფლავეს პარნელი თანადასწრებით ქალაქის წარმომადგენელთა, ირლანდიის სხვა ქალაქების დეპუტაციებისა პარნელის დასის დეპუტატებისა სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და აუარებელის ხალხისა, რომელიც ირლანდიის ყოველის მხრიდამ შეიკრიბა. კუბოს მიმდევარს ხალხს რამდენიმე ვერსი ეჭირა.

## პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბერი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 58 | 7, | 60 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151¼ | | 152 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 14 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | 220½ | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 209 | | — | ,, | 211½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმად მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

## განცხადებანი

### „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თაზ. დ—რის ლუჩევსკის.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

### ქ“ ერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

### კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—9)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


გამოვიდა და ისყიდება „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

# წ. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მირულაში—ილია ჭიჭინაძე, ზეკათუბანში—ანდრ. შაფათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი. (0—7)